წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

გოჩა ხაჩატურიანის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი: **გოჩა ხაჩატურიან.**

თანამდებობის დასახელება: **წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

ფრაქციის დასახელება: „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო".

კომისიის დასახელება: სოციალურ საკითხთა კომისია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

არჩევის წესი: მაჟორიტარული.

საანგარიშო პერიოდი - 2023 წლის 01.11- დან 2024 წლის 29.10-მდე.

ანგარიშის ტიპი: **რიგითი.**

<u>1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა</u>

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა: 15, მათ შორის: რიგგარეშე 3;

- საკრებულოს სხდომებზე დასწრება 13;

სულ საკრებულოს ბიუროს სხდომების რაოდენობა: 36, მათ შორის: რიგგარეშე 12;

- საკრებულოს ბიუროს სხდომებზე დასწრება 33.

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა __21_____მ/შ დროებითი კომისიების_____

- კომისიის სხდომებზე დასწრება ___19_____მ/შ დროებით კომისიებში_____

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 28;

- ფრაქციის სხდომებზე დასწრება 27;

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

- დადგენილება "წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება "წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ";
- დადგენილება "წალკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ";
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ";
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ";
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის, სპორტის, ბავშვთა უფლებების დაცვის დამხარდაჭერის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ";
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1აპრილის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულდარღვევათა კოდექსი", საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი" გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 ივლისის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;
- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ";
- განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწიწებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წალკის მუნიციპალიტეტში დასახლებების მიხედვით მუნიციპალიტეტისათვის განსაზღვრული თანხის განაწილების შესახებ";
- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ";
- განკარგულება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი წალკის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ";
- განკარგულება „მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით

იჯარის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ";

- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ";
- განკარგულება „წალკის მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ".

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

---

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 23 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 619 მოქალაქე.

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

თითოეული დასახლებისთვის პრობლემური საკითხები (წყალმომარაგება, საგზაო ინფრასტრუქტურა, სკოლების რემონტი/რეაბილიტაცია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არარსებობა, ამბულატორიების, გაზიფიცირების და მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის საკითხი).

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

წინადადებების, რეკომენდაციებისა და შუამდგომლობების მომზადება, საკითხის დაყენება შესაბამის სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან, პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება.

დასრულებულია:

- სოფ. ახალშენი - ჩივთკილისის დამაკავშირეზელ საავტომობილო გზაზე მოეწყო 7400 მ.სიგრძის ასფალტის საფარი, რომლის ღირებულება შეადგენს 5 538 676 ლარს;
- ქ. წალკაში ორი მდინარის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები;
- სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, მოეწყობა სოფელ კუშში სახიდე გადასასვლელი ღირებულებით 1230000 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტით 2024 წელს განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. წალკისა და წალკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ გზებს ჩაუტარდათ მოხრეშვითი სამუშაოები, ღირებულებით 435603 ლარი;

მიმდინარეობს მუნიციპალური საავტომობილო გზების რეაბილიტაცია და სხვა

ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც დასრულდება 2024–2025 წელს, კერძოდ:

- სოფ. კოხტა-ხარების დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მიმდინარეობს 3624 მ. სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 2 481 632 ლარი (დასრულდება 2024 წელს);
- სოფ.გუმბათი-აშკალის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე მიმდინარეობს 4100 მ. სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 3000000 ლარი (დასრულდება 2025 წელს);
- სოფ. ოზნი-კიზილკილისის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე 2600 მ. სიგრძის ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 2 251 675 ლარი (დასრულდება 2025 წელს);
- სოფ. ხანდოს-რეხის-ავრანლოს-გუმბათის წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 5 538 676 ლარი (დასრულდება მიმდინარე წელს);
- სოფ. არ-სარვანში ჭაბურღილის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 465000 ლარი (დასრულდება მიმდინარე წელს);
- სოფ ახალშენის ჭაბურღილის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 192553 ლარი;
- ქ. წალკაში ცენტრალური სტადიონის ტრიბუნების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 102197 ლარი (დასრულდება მიმდინარე წელს);
- წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 168 282 ლარი (დასრულდება მიმდინარე წელს);
- წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი-მოედნებზე განათების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 112912 ლარი (დასრულდება მიმდინარე წელს);
- სოფ. გუმბათში მინი-სპორტული მოედნის მოწყობა;
- სოფ. კიზილ-კილისაში მინი-სპორტული მოედნის მოწყობა (დასრულდება მ/წელს);
- მიმდინარეობს სოფ.არწივანის სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. წალკაში შშმ პირთა სახლის სარეაბილიტაციო/სამშენებლო სამუშაოები;
- სოფ. რეხაში საფეხმავლო ხიდის მშენებლობა;
- ქ. წალკასა და წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 572 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებისთვის გამოყოფილია 673514 ლარი. ჯამში დაიხარჯება 1245514 ლარი, რომლითაც მუნიციპალიტეტის 43 დასახლებაში ჩატარებული მოსახლეობის საერთო კრებების მიერ შერჩეული 51 პროექტიდან განხორციელდა 38 პროექტი, დარჩენილი 13 პროექტი დასრულდება მ/წელს.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

მ/წლის განმავლობაში შეხვედრები გავმართე მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოქალაქეებთან. შეხვედრებზე განცხადებული საჭიროებების და პრობლემების შესახებ საკითხები, მუნიციპალიტეტის მწირი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით, მაქსიმალურად აისახება 2025 წლის წალკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

შევსების თარიღი: 29.10.2024 წ.

წარდგენის თარიღი: 29.10.2024 წ.

ხელის მოწერა _____